ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1701005

ნომერი: AR1279786

თარიღი : 19.01.2015

გაცემის თარიღი : 26.01.2015

გაცნობის თარიღი : 26.01.2015

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ც. დადიანი , N 2 , რკინიგზის გადასასვლელი ხიდის მიმდებარე მოედანზე;

დამკვეთი-განმცხადებელი

- აკაკი მჟავანაძე პ/ნ 33001008884
- ოზურგეთი დ.აღმაშენებლის I ჩიხი N 4

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპთბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნათქვენს მიერელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის პასუხად გაცნობებთ, რომაღნიშნულ ტერიტორიაზე (საკად. კოდი#01. 12.12.041.023) მიმდინარეობს ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული სარკინიგზო ხაზის გადატანა. გამონთავისუფლებულ ტერიტორიებზე მუშავდება განაშენიანების რეგულირების გეგმა, ამასთან ტერიტორია მოქცეულია ჯიხურების აკრძალვის არეალში. გამომდინარე აქედან და ამასთან განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დასრულებამდე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.